პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის

ბრძანება №18

2024 წლის 25 იანვარი

ქ. თბილისი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2023 წლის 5 ოქტომბრის №16 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2023 წლის 5 ოქტომბრის №16 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 06/10/2023, სარეგისტრაციო კოდი: 010100000.78.091.016017) და ბრძანებით დამტკიცებული წესის:

1. მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სტაჟირება – სამსახურში ამ წესით რეგულირებადი, ვადიანი, ანაზღაურებადი საქმიანობა, რომლის მიზანია პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების შეძენა, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება და კვალიფიკაციის ამაღლება სამსახურისთვის კვალიფიციური ადამიანური რესურსის მოსამზადებლად;“.

2. II თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სტაჟიორის მიღება, სტაჟირების ვადა და ანაზღაურება“.

3. მე-5 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 მუხლი:

„მუხლი 5^1. სტაჟიორის შრომის ანაზღაურება

1. სამსახურში სტაჟირება ანაზღაურებადია.

2. სამსახურში სტაჟირება ანაზღაურდება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 17^1 მუხლით დადგენილი წესითა და ზღვრული ოდენობის ფარგლებში.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2024 წლის პირველი თებერვლიდან.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსი **ლელა ჯანაშვილი**